ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	Master Program in Finance at International School of Economics at Ivane Javakhishvili Tbilisi State University (ISET) in English ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ფინანსების მაგისტრი Master of Finance
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	2 წლიანი პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი საგნებისაგან. სასწავლო წელი დაყოფილია 3 ტრიმესტრად. თითოეული ტრიმესტრის ხანგრძლივობაა 13 კვირა. პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული პირველი წლის საგნები (ჯამში 13) ყველა სავალდებულოა და კრედიტების ჯამი შეადგენს 60 ECTS. სტუდენტმა მე-2 სასწავლო წლის განმავლობაშიც უნდა დააგროვოს ჯამში 60 ECTS. აქედან 33 ECTS სავალდებულო საგნებს მოეკუთვნება, მათ შორის 4 ECTS – Capstone პროექტს, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ მასპინძელ ორგანიზაციაში პრაქტიკის გავლას; 12 ECTS - არჩევით საგნებზე მოდის, ხოლო 15 ECTS - სამაგისტრო ნაშრომზე. კრედიტების საერთო რაოდენობა ორი სასწავლო წლის მანძილზე შეადგენს 120 ECTS.
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის ხელმძღვანელი	დოქტორი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე
პროგრამის თანახელმძღვანელი	დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი ლევან ეფრემიძე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ადგილობრივი (საქართველოს მოქალაქე) აპლიკანტებისთვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: ✓ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ✓ NAEC–ის მიერ ორგანიზებული საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება. ✓ ISET-ის მიერ ორგანიზებული შიდა მისაღები კომბინირებული წერითი გამოცდის წარმატებით ჩაბარება, რომელიც მოიცავს მათემატიკის, საბაზისო ფინანსებისა და ინგლისური ენის კომპონენტებს (B2 დონე). ✓ გასაუბრება ინგლისურ ენაზე ISET-ის შიდა მიმღებ კომისიასთან, (წინასწარ განსაზღვრული, გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმებით შეფასების საფუძველზე). გასაუბრების დროს წარმოდგენილი შეკითხვების საფუძველზე აპლიკანტმა უნდა გამოავლინოს ფინანსების სპეციალობით ცოდნის მიღების მოტივაცია. საერთაშორისო (უცხო ქვეყნის მოქალაქე) აპლიკანტებისთვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

	✓ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ✓ ISET-ის მიერ ორგანიზებული შიდა მისაღები კომბინირებული გამოცდის წარმატებით ჩაბარება, რომელიც მოიცავს მათემატიკის, საბაზისო ფინანსებისა და ინგლისური ენის კომპონენტებს (B2 დონე). ✓ გასაუბრება ინგლისურ ენაზე ISET-ის შიდა მიმღებ კომისიასთან, (წინასწარ განსაზღვრული, გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმებით შეფასების საფუძველზე). გასაუბრების დროს წარმოდგენილი შეკითხვების საფუძველზე აპლიკანტმა უნდა გამოავლინოს ფინანსების სპეციალობით ცოდნის მიღების მოტივაცია.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ფინანსებში სამაგისტრო პროგრამის მიზნებია: ✓ ფინანსური სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ფინანსების თანამედროვე თეორიის და მეთოდების ცოდნითა და პრაქტიკაში გამოყენების უნარებით; ✓ ფინანსებში საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადება, რომლებიც უახლესი ტექნოლოგიებისა და დარგში ინოვაციების გათვალისწინებით შეძლებენ გაანალიზონ და გაუმკლავდნენ ფინანსების სფეროში არსებულ თანამედროვე ადგილობრივ თუ გლობალურ პროფესიულ გამოწვევებს; ✓ კურსდამთავრებულების აღჭურვა მაღალი სტანდარტის პროფესიული ეთიკით და პასუხისმგებლობით, რომელიც მისცემს მათ საშუალებას წვლილი შეიტანონ საქართველოში, რეგიონსა და მის ფარგლებს გარეთ საზოგადოების განვითარებაში, საჯარო და კერძო სექტორის ფინანსური მართვის გაუმჯობესების კუთხით; ✓ კურსდამთავრებულების აღჭურვა აკადემიური კვლევის უნარებით და მათი მზაობის უზრუნველყოფა სადოქტორო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის.
სწავლის შედეგები	
ა) ცოდნა და გაცნობიერება	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია: ✓ ფინანსური ფუნდამენტური ცნებების, კონცეფციებისა და ინსტრუმენტების სისტემური გააზრება; ✓ ცენტრალური ბანკების, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების, სუვერენული და კერძო საინვესტიციო ფონდების საქმიანობის ანალიტიკური და კრიტიკული მიმოხილვა; ✓ ფინანსურ სექტორში უახლესი მიღწევებისა და ინოვაციების საფუძველზე ფინანსურ და ეკონომიკურ ცვლადებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების სიღრმისეული გააზრება.
ბ) უნარები	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია: ✓ ფინანსური კონცეფციების და ინსტრუმენტების გამოყენება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; ✓ ფინანსური ბაზრების, კაპიტალის ბაზრის, ცენტრალური ბანკების, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების, სუვერენული და კერძო საინვესტიციო ფონდების საქმიანობის ანალიზი; ✓ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფინანსური საკითხების დაგეგმვა და პროცესების მართვა კორპორატიული მართვის ინსტრუმენტების გამოყენებით; ✓ ფინანსების სფეროში ტექნოლოგიური და სხვა ინოვაციური და მულტიდისციპლინური მიდგომებისა და მეთოდების ადაპტაცია და გამოყენება პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად; ✓ კვლევის ჩატარება აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებით და მიღებული შედეგების წარდგენა/პრეზენტაცია

	დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით ინგლისურ ენაზე;
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია: ✓ უწყვეტი პროფესიული განვითარების ავტონომიურად წარმართვა; ✓ ანალიზის შედეგად მიღებული შედეგების და მოსაზრებების დაცვა ოპონირების პირობებში; ✓ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება.
სწავლება-სწავლის მეთოდები	✓ ლექციები ✓ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ✓ ჯგუფური / ინდივიდუალური მუშაობა ✓ წერითი მუშაობა ✓ პრაქტიკული მუშაობა ✓ ანალიზი ✓ დისკუსია/დებატები ✓ შემთხვევების შესწავლა (Case study) ✓ პრეზენტაცია/დემონსტრირება
შეფასების სისტემა[1]	სტუდენტების შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემის საფუძველზე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში. შეფასებათა სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 11 ქულა, რომ დაშვებული იქნას დასკვნით გამოცდაზე. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტი გამოცდაზე მიიღებს დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის 50%-ს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს მაშინ თუ მიღებული ქულა FX კატეგორიაშია. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს გაუფორმდება შეფასება F-0 ქულა. F – შეფასების შემთხვევაში, სტუდენტმა განმეორებით უნდა გაიაროს სასწავლო კურსი.
დასაქმების სფეროები	პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ იმუშაონ ქვეყნის, რეგიონის და საერთაშორისო სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებზე ფინანსების სფეროში,

[1] პროგრამის საფეხური, პროგრამის სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა ბმაში უნდა იყოს ერთმანეთთან და უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

	ისეთ ორგანიზაციებში როგორიცაა ცენტრალური ბანკები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, სუვერენული და კერძო საინვესტიციო ფონდები და სხვა საჯარო და კერძო სტრუქტურები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე, ასევე შეძლებენ სწავლა გააგრძელონ სადოქტორო პროგრამაზე ფინანსების ან მასთან დაკავშირებული დისციპლინის მიმართულებით, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	ISET-ის მიერ საერთაშორისო პროფესიულ და შრომის ბაზარზე დაქირავებული აკადემიური პერსონალის კომპენსაცია თსუ-ს სტანდარტული ანაზღაურების მოდელთან შედარებით მაღალი შრომის ანაზღაურების საჭიროებით გამოირჩევა. ეს განპირობებულია, იმით, რომ პერსონალი ძირითადად დაკომპლექტებულია ინგლისურენოვანი, უცხოეთში განათლება მიღებული კონტიგენტით. შესაბამისად პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭიროა გადასახადის ოდენობა განისაზღვროს $3000-ის ექვივალენტი ლარში საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისათვის, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის $4000 ექვივალენტი ლარში. პროგრამის აკრედიტაციის მიღების შემდეგ, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 81-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად თსუ-დან მიმართვა წარედგინება განათლების სამინისტროს და მთავრობას სწავლის საფასურის გაზრდის უფლების მისაღებად საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისათვის. ამგვარი უფლების მოპოვებამდე, შესაბამის ტრიმესტრში, სწავლის გადასახადი საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისათვის იქნება კანონით განსაზღვრული საფასურის (2250 ლარი) შესაბამისი წილი აკადემიური წლის მოცემული ნაწილისათვის. აპლიკანტებს წინასწარ ეცნობებათ სწავლის გადასახადის ცვლილების შესახებ გამჭვირვალედ.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესაბამისად უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალით, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. პროგრამა დაკომპლექტებულია დოქტორის ხარისხის მქონე ქართველი და უცხოელი აკადემიური და მოწვეული პერსონალით, რომელთაც განათლება მიღებული და ხარისხი მოპოვებული აქვთ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში და გააჩნიათ პროგრამის შესაბამისი პროფილით აკადემიური მოღვაწეობის მრავალწლიანი წარმატებული გამოცდილება. წარმოდგენილი პროგრამა ეფუძნება როგორც ახლად მოზიდულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ასევე ISET-ში უკვე მოღვაწე ქართველ და უცხოელ მაღალკვალიფიციურ აკადემიურ პერსონალს. ასევე პროგრამა განხორციელდება იმ არსებულ ინსტიტუციურ სტრუქტურასა და რესურსებზე დაყრდნობით, რომელთა მაღალმა სტანდარტმა უზრუნველჰყო ISET-ის როგორც საერთაშორისო სკოლის მაღალი რეპუტაცია და მისი საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებული მიმდინარეობა და შედეგები, მათ შორის, სკოლის ადმინისტრაციული, ტექნიკური, საბიბლიოთეკო, სასწავლო რესურსები და კომპიუტერული და ტექნოლოგიური აღჭურვილობა. ISET - ის ადმინისტრაციული პროცესების, პროცედურების და რესურსების მაღალი სტანდარტი გარკვეულწილად დადასტურებულია სკოლის არსებული ორი აკადემიური პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაციით. პროგრამის ადმინისტრირებაში სრულად და ტოლფასად ჩაერთვება ISET - ის ადმინისტრაცია - აკადემიურ საქმეთა დეპარტამენტი, კომუნიკაციებისა და საგარეო საქმეთა დეპარტამენტი, IT განყოფილება, ფინანსური დეპარტამენტი და სკოლის დირექტორატი. აკადემიურ საქმეთა დეპარტამენტში დაემატება საშტატო ერთეული, რომელიც ყოველდღიურ კოორდინირებას გაუწევს პროგრამას.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება სტუდენტების სწავლის საფასურის, პარტნიორი ორგანიზაციების და ფონდების გრანტებისა და შემოწირულობების

	საფუძველზე. ISET-ის 15 წლიანი წარმატებული გამოცდილება აკადემიური პროგრამების შექმნასა და განხორციელებაში, დივერსიფიცირებული შემოსავალი მითითებული წყაროებიდან და ფინანსების დაგეგმვის ეფექტური სისტემა ქმნის სტაბილურ საფუძველს წარმოდგენილი ახალი სასწავლო პროგრამის წარმართვისათვის. ჩატარებული ფინანსური ანალიზის მიხედვით, პროგრამის განხორციელების მეორე წლიდან, დაგეგმილი სტუდენტების რაოდენობა და დაგეგმილი სწავლის საფასური მოახდენს პროგრამის მდგრად ფინანსურ უზრუნველყოფას იმ მაღალი სტანდარტით, რომელიც მოცემულ პროგრამაშია გათვალისწინებული და ISET-ის არსებულ მრავალწლიან სტანდარტს შეესაბამება.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	გეზი CFA ინსტიტუტის პროგრამაზე: ბოლო წლებში ქვეყანაში გააქტიურდა ფინანსური ბაზრის განვითარება, კერძოდ გატარდა საპენსიო რეფორმა და შეიქმნა საპენსიო ფონდი, გააქტიურდა კაპიტალის ბაზრის განვითარების პროცესი, გაიზარდა სადაზღვევო სექტორის აქტივობა და შესაბამისად მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებზე ფინანსების სფეროში. ეს უკანასკნელნი კი საჭიროებენ უნიკალურ უნარ-ჩვევებს, რომლებიც აერთიანებს მაკროეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის ცოდნას, ტექნიკურ რაოდენობრივ უნარ-ჩვევებს, ფინანსური შეფასებისა და კორპორატიული ფინანსების ექსპერტიზას, რისკების მენეჯმენტის, ქცევითი ფინანსების ცოდნას. ამ ყოველივეს შესწავლის უნიკალურ და საუკეთესო მოდელად მსოფლიოში მიჩნეულია Chartered Financial Analyst Institute-ის(CFA Institute) პროგრამა. CFA ინსტიტუტი მსოფლიოში უდავოდ ყველაზე მაღალი რეპუტაციის მქონე ინსტიტუტია საინვესტიციო და საფინანსო ინდუსტრიაში, რომელიც იძლევა Chartered Financial Analyst-ს (CFA) კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობას. იმისათვის, რომ გახდე CFA, კანდიდატმა დამოუკიდებლად უნდა შეისწავლოს CFA ინსტიტუტის მიერ შექმნილი ძალიან ფართო და მაღალი სტანდარტის სასწავლო პროგრამა, რომელიც მოიცავს ინვესტიციისა და ფინანსების სფეროს სხვადასხვა ასპექტებს. ჩვეულებისამებრ კანდიდატს სჭირდება 3 დონის გამოცდების წარმატებით ჩაბარება კვალიფიკაციის მისაღებად. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფინანსების სპეფიალობით მაღალი დონის განათლების ხელშესაწყობად, CFA ინსტიტუტი იძლევა საშუალებას აკადემიური პროგრამებმა გამოიყენონ მისი საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო გეგმა და მასზე დაყრდნობით ააწყონ პროგრამა. მსოფლიოს არაერთი წამყვანი უნივერსიტეტი უკვე იყენებს CFA ინსტიტუტის კურიკულუმს. მაგალითად, პოლონეთში, სადაც ბოლო წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა ადგილობრივი ფინანსური ბაზარი და გლობალურ ფინანსურ ბაზარში ინტეგრირების პროცესი, 4 ასეთი აკადემიური პროგრამა ფუნქციონირებს. ასევე უკრაინაშიც არსებობს 4 მსგავსი პროგრამა. იმისათვის, რომ საერთაშორისო უმაღლესი სტანდარტის განათლება განახორციელოს საქართველოში ფინანსების განხრით, ISET აპირებს დაეყრდნოს CFA-ს 'ოქროს სტანდარტის' სასწავლო გეგმას და 70%-ით დაფაროს CFA–ს კურიკულუმი, რომელსაც გაამყარებს ადგილობრივ სპეციფიკაზე მორგებული საერთაშორისო სტანდარტების კურსებითაც. CFA -ის სასწავლო პროგრამის 70%-ით დაფარვა მისცემს სკოლას საშუალებას კურსდამთავრებულთა პირველი ნაკადის გამოშვებისთანავე განაცხადი შეიტანოს პროგრამის ინსტიტუტთან აფილირებაზე. ამგვარი აფილირება ასევე მიღებული აქვს მსოფლიოს არაერთ წამყვან უნივერსიტეტსაც - ოქსფორდის (Master in Financial Economics), ნიუ-იორკის(Master of Business Administration in Finance), მასაჩუსეტსის (Master of Science in Finance), სან დიეგოსა (Master of Finance) და სხვა უნივერსიტეტებს".

	პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაციის ამბიცია: გამომდინარე იქიდან, რომ ISET საერთაშორისო სკოლაა და ორიენტაცია აქვს საერთაშორისო სტანდარტებზე და ინტერნაციონალიზაციაზე, რაც მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა 2021 წლის მაისში თავისი ორი არსებული აკადემიური პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვებით Foundation for International Business Administration Accreditation-გან (FIBAA)-საგან, სკოლა ასევე გეგმავს მომავალში მოიპოვოს ფინანსებში სამაგისტრო პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაცია იგივე საერთაშორისო სააკრედიტაციო სააგენტოდან (კერძოდ, 2 წელიწადში პროგრამის განხორციელების დაწყებიდან).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET)
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში
სწავლების საფეხური: მაგისტრატურა
კრედიტების რაოდენობა: 120 ECT
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი: დოქტორი, გიორგი ღაღანიძე
საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი: დოქტორი, ლევან ეფრემიძე
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2022 -2023 სასწავლო წელი

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი													
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საკონტაქტო საათები		სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების ტრიმესტრი						სასწავლო კურსის ლექტორი
							I	II	III	IV	V	VI	
				ლექცია	პრაქტიკუმი								
სავალდებულო სასწავლო კურსი													
1	QMF 1	რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1	4	22	11	წინაპირობის გარეშე	I						ალექსანდრე ერგეშიძე
2	ECF 1	ეკონომიკა ფინანსისტებისთვის 1	5	22	11	წინაპირობის გარეშე	I						მარიამ ხარაიშვილი

3	FMA	ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა	5	22	11	წინაპირობის გარეშე	I						ნიკოლოზ ქოიავა
4	ENG	ინგლისური ენა - აკადემიური წერა	4	22	11	წინაპირობის გარეშე	I						ენდრიუ ჰარგრივსი
5	FRA 1	ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1	5	22	11	ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა		II					ბაქარი ბარათაშვილი
6	QMF 2	რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2	4	22	11	რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1		II					მუჰამად ასალი
7	ECF 2	ეკონომიკა ფინანსისტებისთვის 2	5	22	11	ეკონომიკა ფინანსისტებისთვის 1		II					მარიამ ხარაიშვილი
8	CF 1	კორპორატიული ფინანსები 1	5	22	11	ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა		II					თეიმურაზ გოგსაძე
9	PC	პროფესიული კომუნიკაციის უნარები ბიზნესსა და ფინანსებში	4	22	11	ინგლისური ენა - აკადემიური წერა		II					გიორგი ბარკალაია
10	QMF 3	რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 3 – მონაცემთა ვიზუალიზაცია	4	22	11	რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2			III				კარინე ტოროსიან
11	FRA 2	ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 2	5	22	11	ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1			III				ბაქარი ბარათაშვილი

12	VF	სასესხო ინსტრუმენტების შეფასება	5	22	11	ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1, კორპორატიული ფინანსები 1, რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2			III				ნიკოლოზ ქოიავა
13	VB	ბიზნესის შეფასება	5	22	11	ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1, კორპორატიული ფინანსები 1, რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1			III				ნიკოლოზ ქოიავა
14	ECF 3	ეკონომიკა ფინანსისტებისთვის 3	5	22	11	ეკონომიკა ფინანსისტებისთვის 2				IV			იაროსლავა ბაბიჩი
15	RM	კვლევის მეთოდები	4	22	11	ინგლისური ენა - აკადემიური წერა				IV			ზურაბ აბრამიშვილი
16	EFI	ეთიკა ფინანსურ სექტორში	5	22	11	ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1, კორპორატიული ფინანსები 1, რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2				IV			ბაქარი ბარათაშვილი
17	FMI	ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები	5	22	11	ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1,				IV			დავით კეშელავა

						კორპორატიული ფინანსები 1, რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2							
18	CF 2	კორპორატიული ფინანსები 2	5	22	11	კორპორატიული ფინანსები 1					V		ნიკოლოზ ქოიავა
19	CP	Capstone პროექტი	4	100		ეთიკა ფინანსების სფეროში					V		ლევან ეფრემიძე
20	RM	რისკების მართვა	5	22	11	ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები					V		ოლესია ვერჩენკო
არჩევითი სასწავლო კურსი													
21	WM	სიმდიდრის მენეჯმენტი	4	22	11	ბიზნესის შეფასება				IV			ბაქარი ბარათაშვილი
22	EPSII	ეთიკური და პროფესიული სტანდარტები საინვესტიციო ინდუსტრიაში	4	22	11	წინაპირობის გარეშე				IV			ბაქარი ბარათაშვილი
23	AI	ალტერნატიული ინვესტიციები	4	22	11	წინაპირობის გარეშე				IV			დავით ასლანიშვილი
24	PM	საინვესტიციო პორტფელის მართვა	4	22	11	ეთიკა ფინანსურ სფეროში					V		ლევან ეფრემიძე
25	AMIP	აქტივების მართვის ინდუსტრია და პროფესიონალიზმი	4	22	11	ეთიკური და პროფესიული სტანდარტები ინვესტიციების ინდუსტრიაში					V		დავით ასლანიშვილი
26	EPM	კაპიტალი პორტფელის მენეჯმენტში	4	22	11	ეთიკა ფინანსურ სფეროში					V		ოლესია ვერჩენკო

27	BF	ქცევითი ფინანსები	4	22	11	საინვესტიციო პორტფელის მართვა						VI	თეიმურაზ გოგსაძე
28	RMAD	რისკების მართვა და დერივატივების გამოყენება	4	22	11	რისკების მართვა						VI	ოლესია ვერჩენკო
29	FIPM	ფიქსირებული შემოსავალი პორტფელის მენეჯმენტში	4	22	11	საინვესტიციო პორტფელის მართვა						VI	დავით ასლანიშვილი
სამაგისტრო ნაშრომი, მეორე წელი													
30	MT	სამაგისტრო ნაშრომი	15			სტუდენტი უნდა იყოს დამამთავრებელ ტრიმესტრში, ინგლისური - აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები, რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 3 – მონაცემთა ვიზუალიზაცია, ეკონომიკა ფინანსისტებისთვის 3, სასესხო ინსტრუმენტების შეფასება, ბიზნესის შეფასება, ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 2, ეთიკა ფინანსების სფეროში,						VI	

						ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები, კორპორატიული ფინანსები 2							

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი